რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 8 ნოემბერი 1917 წ.

# ბრძოლა

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, для груз. газ. „Брдзола". კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები რედაქციის სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Гановская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола". გაზეთი ღირს წლის ბოლომდი 4 მ., 1 თვით 2 მ. განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 29 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (შეუმრავლესთა) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. 29

პირველი ნოემბრიდან გაზეთი

ბრძოლა

გამოდის ყოველდღიურათ.

გაზეთის ფასი: წლის დამლევამდე ღირს 4 მ.
ერთი თვით " 2 მ.
ცალკე ნომერი " — 10 კ.
მეგაზეთეებს მიეცემათ ცალი 07 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება: 1) „ბრძოლის" და „კავკ. რაბოჩის" კანტორაში, თფილისი, გიორგის ქუჩა № 1.
2) ჩვენი პარტიის თფილისის ორივე რაიონის ბიუროში.
3) ჩვენი პარტიის პროვინციის ყველა ორგანიზაციებში.

თფილისის აშხ. მუშებს და გაზეთის გამავრცელებლებს ვთხოვთ გაზეთი მოიკითხონ და გასავრცელებლათ წაიღონ სტამბიდან ყოველ საღამოობით, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. სტამბა—ამხანაგობა „ქართლი" ძველი სემინარიის ეზოში. შესავალი ლორის მელიქოვის ქუჩიდან. რედაქციის ადრესი: თფილისი, განოვის ქ. № 3.

ამხანაგებო! ხელი შეუწყვეთ ყოველმხრივ „ბრძოლას": მუშათა ორგანო მხოლოთ მუშებისავე ძალღონით და საშუალებით შეიძლება არსებობდეს.

# გაუმარჯოს საბჭოების რევოლუციონურ მთავრობას.

მუშებო, სალდათებო, გლეხებო, მედგრათ დაუჭირეთ მხარი მუშების და გლეხების მთავრობას!

## რევოლუციის შტრეიკბრეხერები.

კონტრ-რევოლუციონური მთავრობა დაეცა. მის დასადგენათ იბრძოდა კონტრ-რევოლუციონური ბურჟუაზია, რომელმაც შემოიკრიბა მთელი თავისი ძალები და აშკარა შეტაკებაში მოინდომა რევოლუციონური ხალხის გატეხა. მაგრამ ხალხი—პროლეტარიატი და ჯარი ძლიერი აღმოჩნდა და თავისი ერთსულოვანი მოქმედებით დაიმორჩილა რევოლუციის მტრები.

გამარჯვებულმა ხალხმა შექმნა თავისი საბჭოების სახით ნამდვილი რევოლუციონური მთავრობა. მაგრამ ბურჟუაზია მაინც ფარხმალს არა ყრის და ხალხმა კიდევ დიდი ბრძოლა უნდა გადაიხადოს, რომ გამარჯვება საბოლოოთ უზრუნველყოს.

აშკარა შეტაკებაში დამარცხებული ბურჟუაზია ახლა სხვა გზას მიმართავს. მან დიდხანს გამოიყენა თავის სასარგებლოთ წვრილ-ბურჟუაზიული პარტიები და მათი შემწეობით ატყუა და მორჩილებაში იყოლია მთელი ხალხი. ახლაც მათი იმედი აქვს ბურჟუაზიას. მართალია, ამ პარტიებს ხალხი ჩამოშორდა, მან საკუთარი გზა აირჩია, უარყო ბურჟუაზიასთან შეთანხმების პოლიტიკა და მასთან ბრძოლა თავის წმინდა მოვალეობათ გამოაცხადა. მაგრამ ეს ხალხისგან გარიყული პარტიები თავისთავათ საკმაო ინტელიგენტურ ძალას წარმოადგენენ და სწორეთ ამ ძალის გამოყენებით ცდილობს ბურჟუაზია პროლეტარიატის დამარცხებას.

ახალ მთავრობას სახელმწიფოს მთელი აპარატი ძველი სახით ხვდება. მან ძირიანად უნდა გამოსცვალოს ეს აპარატი და შეცვლილი პირობების თანახმათ სრულიად ახალი, ნამდვილი ხალხური აპარატი მოაწყოს. მაგრამ სანამ ეს არ მომხდარა, ძველმა აპარატმა უნდა შეუწყვეტლათ განაგრძოს თავისი მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი სახოგადოებრივი ცხოვრება აირევ-დაირევა.

სწორეთ აქ პოულობს ბურჟუაზია თავის უკანასკნელ ციხე სიმაგრეს. წვრილ-ბურჟუაზიული პარტიები, რომელთაც ვერ დააღწიეს თავი ბურჟუაზიის მორჩილებას, გვერდში უდგებიან დამარცხებულ ბურჟუაზიას და თავის სამსახურს სთავაზობენ.

ბურჟუაზიაც ურჩევს მათ არ დაემორჩილონ ხალხის ახალ მთავრობას, არ აასრულონ არც ერთი მისი დადგენილება, ყოველ მხრივათ საქმე გაუჭირონ მას. ამ რჩევას ყურად-იღებენ ყველა ჩინოვნიკები, სამინისტროების დიდი და პატარა მოხელეები, სხვა და სხვა აუცილებლათ საჭირო დარგის მოსამსახურეები. ბურჟუაზიულ ინტელიგენციაში დიდი გასავალი აქვთ წვრილ-ბურჟუაზიულ შეთანხმების პარტიებს და ყველა ისინი დიდი თავგამოდებით მუშაობენ პროლეტარიატის დასამარცხებლათ.

რა ვუყოთ, რომ ახალი მთავრობის დადგენილებები სწორეთ ხალხის სასარგებლოა, მისი იარების მალამოა,—ბურჟუაზიას არ მოსწონს ისინი და მაშასადამე ნუ დაემორჩილებით მათ. ბოიკოტი ხალხისთვის თავდადებულ მთავრობას—აი რა ლოზუნგი წამოაყენა ბურჟუაზიამ, აი რით აპირებს ის პროლეტარიატის დამარცხებას.

პროლეტარიატს არ ეყოფა საკუთარი ინტელიგენტური ძალები, ის იძულებული იქნება დასთმოს, გამარჯვებაზე ხელი აიღოს. ასე ფიქრობენ ბურჟუაზიას გარდა გუშინდელი „მეგობრები" პროლეტარიატისა, წვრილ ბურჟუაზიული ინტელიგენტები მენშევიკ-ესერების მეთაურობით. ფიქრობენ და კიდეც ცდილობენ წელში გასტეხონ პროლეტარიატი თავისი ბოიკოტით. პროლეტარიატის წინააღმდეგ ისინი იყენებენ გაფიცვას, ბოიკოტს. რევოლუციის დახმარების ნაცვლად ისინი წინ ეღობებიან მას, მტრის ბანაკში გადადიან, შტრეიკბრეხერობენ.

გაუძლებს თუ არა პროლეტარიატი ამ რევოლუციის შტრეიკბრეხერების თავდასხმას. მოახერხებს თუ არა იგი საყოველთაო შრომის ბეგარის შემოღებას, რის დროსაც ყველა განურჩევლათ ქონებისა და მდგომარეობისა უნდა ასრულებდეს სახელმწიფოში რაიმე სასარგებლო ფუნქციას? უეჭველია, ბურჟუაზია დიდ წინააღმდეგობას გაუწევს მას ამ ნაბიჯის განხორციელებაში, რადგან ეს უკანასკნელი პოზიციის დაკარგვა იქნებოდა ბურჟუაზიის მხრით და მას ამ საქმეში დაეხმარება მთელი ხროვა ინტელიგენტ-შტრეიკბრეხერებისა.

ხალხი განსაცდელშია. მას ებრძვის იარაღით ხელში ბურჟუაზია. მას თავს ესხმის თავისი ბოიკოტით შტრეიკბრეხერი ინტელიგენცია.

რევოლუციამ უნდა სძლიოს ბურჟუაზიის ზარბაზნებსაც და ინტელიგენციის მუხანათობასაც. ხალხი კიდევ უფრო მჭიდროთ უნდა დაირაზმოს და მედგრათ მიუტიოს თავის მტრებს. მან უნდა მონახოს საკუთარ წრეში ახალი ძალები, მან უნდა შექმნას მართვა-გამგეობის ახალი ფორმები და ძველი ჩინოვნიკურ ბიუროკრატიულ აპარატს სამუდამოთ ძირი გამოუთხაროს. მაშინ საშიში არ იქნება იმ ინტელიგენტების ვერაგობა, რომლებიც გველივით სისინებენ და პროლეტარიატის წინააღმდეგ შეკავშირებულ ძალებს რაზმავენ.

პროლეტარიატმა მედგრათ უნდა გადიტანოს ბურჟუაზიის მოკავშირე შტრეიკბრეხერ-ინტელიგენტების ბოიკოტი უჩვენოს მათ თავისი ადგილი და შეუპოვრათ გასწიოს თავისი წმინდა მიზნისკენ.

---

## მენშევიკების საარჩევნო ფანდები.

ცნობილია, რომ მენშევიკებს საარჩევნო კომპანიის წარმოებაში ბადალი არ ყავთ. ამ მხრით ეს პარტია არაფრით არ განსხვავდება სხვა წვრილ და მსხვილ ბურჟუაზიულ პარტიებისაგან. აქაც და იქაც ხალხს პირდებიან ბევრს, ძალიან ბევრს, აშენებას უპირებენ, მარა ეს მხოლოთ სიტყვით, საქმით კი, როცა საარჩევნო ციებ-ცხელება თავდება და ხალხის ნდობით აღჭურვილნი შეუდგებიან საქმეს, მთელი მათი გუშინდელი პროგრამა-ტაქტიკა, პლატფორმა, ლოზუნგები, დანაპირები შარშანდელ თოვლივით ქრება და არხეინათ განაგრძობენ დეპუტატის სავარძელზე დარბაისლურათ თვლემას—აქაც და იქაც მიმართავენ ათასგვარ რეკლამას, ტყუილებს, ცილის წამებას, მოპირდაპირის დაწიოკებას, უსაზღვრო ტრაბახს, რითაც ხელს უწყობენ ხალხის, დემოკრატიის პოლიტიკურათ დაქვეითებას, დალორებას, აქაც და იქაც, რომ ორიოდე მეტი ხმა იშოვონ, მზათ არიან ასჯერ უარყონ, შეაკეთონ, შეაპაჩინკონ, შესცვალონ, დაფარონ გუშინდელი მათი პროგრამა-ლოზუნგები, რომ დღეს, არჩევნების დროს, ხალხს დაანახვონ უფრო დემოკრატიული, უფრო რევოლიუციონური, უფრო სოციალისტური, უცრესათ რადიკალური პლატფორმა!

ვინც ოდნავ თვალ-ყურს ადევნებდა ჩვენ რევოლიუციებს, 905 დაწყებული და მენშევიკების მოღვაწეობას, ასე ვთქვათ, საპარლამენტო ასპარეზზე, უეჭველათ დაეთანხმება იმაში, რომ მენშევიკები ნამდვილ, ტიპიურ ე. წ. „პარლამენტარულ კრეტინებს წარმოადგენენ.

ავიღოთ ფაქტები. „ერთობაში" მოთავსებულია საოლქო კომიტეტის მიერ შემუშავებული პლატფორმა.

მოწოდება ასე იწყება: „ხმა მიეცით ზავის, მიწის და თავისუფლების სასარგებლოთ". შესანიშნავი ლოზუნგებია ეს, მარა ერთი ვიკითხოთ, ვინ შეიმუშავა და ვინ დააყენა ისინი თავის დროშაზე? მხოლოთ ბოლშევიკებმა. მარა ეს არ კმარა. ვინ იბრძოდა და იბრძვის ამ ჭეშმარიტათ რევოლიუციონურ ლოზუნგების ცხოვრებაში გასატარებლათ? მხოლოთ და მხოლოთ ბოლშევიკები და სხვა ინტერნაციონალისტები.

მენშევიკები—ობორონცები კი, ესერებთან ერთად, დატყვევებულნი კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზიის მიერ,

# გაუმარჯოს მუშების და გლეხების რევოლიუციას.

## მთელი ძალა-უფლება საბჭოებს.

### გაუმარჯოს ზავს! გაუმარჯოს ყველა ქვეყნის მშრომელთა მობას!

საქმით მუდამ ღალატობდენ ამ ლოზუნგებს. მართლაც, რა გააკეთეს ამ გაბატონებულმა, „მმართველ“ პარტიებმა ამ ხნის განმავლობაში? ყველაფერი—სიტყვით, არაფერი—საქმით. მათ უღალატეს რევოლიუციონურ ინტერნაციონალიზმს რომელიც ჩვენში ბალშევიკების მეთაურობით ერთად ერთი ებრძოდა იმპერიალისტურ ბურჟუაზიას დემოკრატიული ზავის დასამყარებლათ.

ობორონცებმა შეხანხლეს ე. წ. კოალიციონური სამინისტრო, რომელმაც, კორნილოვ-კერენსკის მეთაურობით და მენშევიკ-ესერების თანხმობით, ივნისის შეტევა წამოიწყეს, რითაც მახვილი ჩ ხ-ცეს გულში, როგორც ინტერნაციონალიზმს, ისე რევოლიუციას და მათ ზურგი გაუმაგრეს კონტრ-რევ. და იმპერიალისტურ ბურჟუაზიას. როგორ გადასჭრეს მენშევიკ-ესერებმა მიწის საკითხი, ეს უდიდესი საკითხი რევოლიუციის? ყველაფერი სიტყვით, დაპირებით, არაფერი საქმით—მოქმედებით. მათ ბურჟუაზიასთან ერთად და წერეს თავის დროშაზე: ბრძოლა საგლეხო კომიტეტების წინაალმდეგ, რომლებიც რევოლიუციონურათ იგდებდენ მიწას ხელში. მათ ბურჟუაზიასთან ერთად შეეცადენ რევოლიუციონურ გლეხკაცობის დაღორებას, როცა მას პირდებოდენ: მოიცადეთ დამფუძნებელ კრებამდი მისი მოწვევის დასაჩქარებლათ და განსახორციელებლათ თითიც არ გაუნძრევიათ), რომელიც მოგანიჭებს ყველაფერსო. ეს ტაქტიკა ნაკარნახევი იყო ბურჟუა პამეშჩიკების მიერ და ობორონცებიც, მათი ერთგული ნოქრები, პირნათლათ ასრულებდენ ამ კარნახს.

რა გააკეთეს მენშევიკებმა თავისუფლების მოპოვების და დაცვის საქმეში. —ყველაფერი სიტყვით, არაფერი საქმით ეს ცოტაა: მათმა ტაქტიკამ შეთანხმების, კოალიციის ბურჟუაზიასთან რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატიის ბალშევიკების წინააღმდეგ ხელი შეუწყო კონტრ-რევოლიუციის გამაგრებას, გამტკიცებას და გამოლაშქრებას კორნილოვ-კერენსკის მეთაურობით.

ასეთია როლი მენშევიკებისა რევოლიუციაში, ეს დამტკიცებულია ათას ერთხელ მათი ნაბიჯებით, მოქმედებით, სიტყვით და საქმით ზეპირათ და დოკუმენტებით.

აი ასეთი პარტია, პარტია რყევის, შეთანხმების, კოალიციის, პარტია შეამავალთა და დალალთა, პარტია უპრინციპო, ოპორტიუნისტული, მეშჩანური, პარტია სიტყვით სოციალისტური და საქმით წვრილ-ბურჟუაზიული,—გამოსულა დღეს და გულუბრ-ყვილობის ანქესზე წამოსაგებათ აუფრიალებია დროშა რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატიის: ზავი, მიწა, თავისუფლება!.

ჭეშმარიტათ სასაცილოა, სამწუხარო რომ არ იყოს.

განვიხილოთ მოკლეთ ამ პლატფორმის ზოგიერთი მუხლები.

**თიდორი.**

(დასასრული იქნება.)

---

## მთელი რუსეთის საბჭოთა სიეზდი.

(გაგრძელება. იხ. „ბრძოლა“ № 27.)

ამხ ტროცკიმ ბალშევიკთა სახელით საბჭოდან მენშევიკებისა და ესერების ხდომიდან წასვლის შესახებ შემდეგი შინაარსიის რეზოლიუცია წარადგინა:

„მთელი რუსეთის საბჭოთა მეორე სიეზდი აღნიშნავს, რომ იმ დროს, როცა მუშათა და სალდათთა ავანგარდი იარაღით ხელში თავგანწირვით იცავს საბჭოსა და რევოლიუციას კონტრ-რევოლიუციონური თავდასხმიდან, საბჭოდან მენშევიკებისა და ესერების დელეგატების გასვლას საბჭოთა მეორე სიეზდი სთვლის დანაშაულობათ და მოღალატეობათ, ვინაიდან ასეთ წასვლას მთელი რუსეთის მუშათა და სალდათთა სრულ-უფლებიან წარმომადგენლობის ჩაფუშვა აქვს მიზნათ.

შეთანხმების პარტიებმა მთელი თავისი წარსული პოლიტიკით აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენეს რევოლიუციის საქმეს და მუშებისა, გლეხების და სალდათების ფართო მასის თვალში ყოველივე ნდობა და გავლენა დაკარგეს. მენშევიკებმა და ესერებმა ხელი შეუწყვეს და მოიწონეს 18 ივნისის რუსის ჯარის თავდასხმაზე გადასვლა, რომელმაც ქვეყანა და თვით ჯარი დაღუპვის კარამდე მიიყვანა.

მენშევიკები და ესერები სიკვდილით დასჯისა და ხალხის ღალატის მთავრობას მხარს უჭერდენ. ისინი 7 თვის განმავლობაში მხარს უჭერდენ მიწის საკითხში გლეხების სისტემატიურ მოტყუილების პოლიტიკას, მხარს უჭერდნენ რევოლიუციონური ორგანიზაციების განადგურებას, მუშების იარაღის აყრას და არმიაში კორნილოვის დისციპლინის განმტკიცებას, ომის გაძლიერებას.

მენშევიკები და ესერები ბურჟუაზიას საქმეზე შველოდნენ, რომ მათ სახელმწიფოს ცხოვრებაში არევ-დარევა შეეტანათ და მილიონობით მშრომელი მასსა შიმშილის მსხვერპლად გაეხადათ.

ამ გვარ პოლიტიკის წყალობით მათ დაკარგეს რა ფართო მასის ნდობა, უსირცხვილოთ და ხელოვნურათ დღემდე მაინც შეინარჩუნეს გავლენა საბჭოთა არმიის ორგანიზაციებში, რომელთა ხელმეორეთ არჩევა უკვე დიდი ხანია უნდა მომხდარიყო.

ცენტრალური აღ. კომ. ამ მიზნით ყველა საშუალებას ხმარობდა, რომ საბჭოთა სიეზდის მოწვევა შეუძლებელი გაეხადა, ამიტომ ის არმიის კომიტეტებს და ხშირად მთავრობის ძალასაც კი იხმარებდა.

როცა ეს პოლიტიკა ობსტრუქციისა და პოლიტიკა რევოლიუციონური კლასებისა და საზოგადოების მოტყუებისა დამარცხდა და პეტროგრადის მუშათა და სალდათთა აჯანყებამ დასცა შეთანხმების პარტიების მიერ შექმნილი დროებითი მთავრობა, როცა მთელი რუსეთის საბჭოთა სიეზდის არსებობამ აშკარა ჰყო რევოლიუციონურ სოციალისტურ პარტიის (ბალშევიკების) დიდი გავლენა მასაზე, როცა გამოაშკარავდა რომ ბურჟუაზიისა და მის დამქაშების მიერ გატანჯულს და მოტყუებულს რევოლიუციონურ მასსას გაჭირვებიდან ერთად-ერთ გამოსასვლელ გზათ აჯანყება-ღა დარჩათ, მაშინ მენშევიკებმა და ესერებმა ის დასკვნა გამოიტანეს, რომ საბჭოს ჩამოშორებოდნენ და მას შებრძოლებოდნენ კიდეც.

მენშევიკებისა და ესერების წასვლა საბჭოდან კი არ ასუსტებს მას, არამედ მუშებისა და გლეხების მიერ წარმოებულს რევოლიუციას ყველა კონტრ-რევოლიუციონური დამატებიდან სწმენდავს, ასუფთავებს.

ამასთანავე მთელი რუსეთის საბჭოთა მეორე სიეზდმა მოისმინა მენშევიკებისა და ესერების სიეზდიდგან წასვლის განცხადება, თავის მორიგ მუშაობაზე გადადის, რომ მშრომელ მასის ნება სისრულეში მოიყვანოს და 24 და 25 ოქტომბერს დაწყებული აჯანყება ხალხის გამარჯვებით დააგვირგვინოს.

ძირს ბურჟუაზიასთან შეთანხმების მქადაგებლები!

გაუმარჯოს მუშათა და სალდათთა ძლევა-მოსილ აჯანყებას!

გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის წევრის გურევიჩისა, კრეისერ „ავრორის“ და ნაღმოსან „ზაბიაკას“ წარმომადგენლების გამოსვლის შემდეგ, მემარცხენე ესერების სახელით ამხ. კამკავი აცხადებს:

—მემარჯვენე ესერები წავიდნენ სიეზდიდან, ჩვენ მემარცხენენი კი აქ დავრჩით (ტაშის ცემა). კამკოვი ამბობს, რომ საჭიროა შევქმნათ ერთი რევოლიუციონური ფრონტი. მას არ მიაჩნია სასურველათ, რომ მემ რჯვენე ფრთა დემოკრატიისა ჩამოიშორა სიეზდმა და ამ მოსაზრებით ამხ. ტროცკის რეზოლიუციის მიღების წინააღმდეგია.

ამხ. ლუნაჩარსკი უპასუხებს კამკოვს.

—მძიმეა მოვალეობა, რომელიც სვენ კისრათ გვაწევს. საქმის დასაგვირგვინებლათ მართლა საჭიროა ყველა რევოლიუციონურ დემოკრატიის ძალთა გაერთიანება, მაგრამ ეს ჩვენი ბრალი არ არის. როცა გაიხსნა სიეზდი, ჩვენ რომ მაშინ სხვა ელემენტებისთვის ხელი გვეკრა ამხ. კამკოვი ახლა მართალი იქნებოდა. მაგრამ მარტოვის წინადადება ჩვენ ყველამ ერთხმათ მივიღეთ, რომ კრიზისის მშვიდობიანათ გათავების შესახებ ყველახ ერთათ გველონა რამე, მაგრამ ჩვენ წინააღმდეგ მთელი იერიშებით წამოვიდნენ, აქ ლაპარაკობდნენ რაღაცა კუპოებზედ, ავანტიურისტებს, დამნაშავებს გვიწოდებდნენ და სხვა. ნამდვილი მასსიური, ხალხური აჯანყება ცდილობდნენ წარმოედგინათ როგორც შეთქმულება. ჯერ არ მოესმინათ ჩვენგან, ჯერ არ განეხილათ მარტოვის მიერ შემოტანილი წინადადება, რომ მაშინვე ეცადნენ ჩამოგვშორებოდნენ ჩვენ და პირდაპირ მტრული პოზიცია დაეჭირათ, მოისურვეს სიეზდის ჩაშლა, ჩვენი განმარტოვება და ახლა ამხ. კამკოვი, რომელიც ჩვენთან დარჩა, ყველა ამაში ბრალს ჩვენა გვდებს. ჩვენი მხრით რეზოლიუციაში გვინდოდა გაბედულათ და აშკარათ გვეთქვა, რომ მიუხედავათ მათი ღალატისა, ჩვენ მაინც განვაგრძობთ ჩვენს საქმეს და აჯანყებულ პროლეტარიატსა და ჯარს გამარჯვებისაკენ წავიყვანთ. ისინი ვინც ეხლა წავიდნენ, დიდი ხანი რაც მათ სახელი რევოლიუციონერისა დაკარგეს და კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიასთან ერთად თანამშრომლობით აშკარათ კორნილოვის ბანაკს მიექცნენ. მაგათან ლაპარაკი ზედ-მეტია.

შეერთებულ სოციალ-დემოკრატ ინტერნაციონალისტების სახელით ლაპარაკობს ამხ. კრამაროვი. ის აცხადებს, რომ მენშევიკებისა და ესერების საქციელი სწორეთ რომ აღმაშფოთებელია მაგრამ ის სთხოვს სიეზდს, რომ ამგვარი რეზოლიუცია მაინც არ მიიღონ.

ქართველთა სოციალ-დემოკრატიის(?) სახელით ლაპარაკობს ამხ. სალირაშვილი. ქართველი სოციალდემოკრატია ამბობს ის, კორნილოვის გამოსვლის შემდეგ კოალიციონური მთავრობის წინააღმდეგი იყო, მიუხედავათ ამისა ქართველი სოციალდემოკრატია ახლა ქუჩაზე იარაღით ხელში გამოსვლას არ იწონებს, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ დემოკრატიისათვის აჯანყება ხანდისხან აუცილებლობაა. დადგა დრო, როცა რევოლიუციონურმა დემოკრატიამ უნდა აჯანყება მოახდინოს. როცა კითხვას ქუჩა სწყვეტავს, მაშინ რევოლიუციონერისათვის სხვა გზა არ არის, გარდა იმისა რომ ხალხს გვერდში ამოუდგეს (ტაშის ცემა) მე მუშა ვარ და არ შემიძლიან ვიყო უბრალო მაყურებელი იმ დროს, როცა მუშები და სალდათები ებრძვიან ჩვენს საერთო მტერს. ჩემმა ამხანაგებმა მენშევიკ-ინტერნაციონალისტებმა დიდი შეცდომა დაუშვეს, როცა ისინი სიეზდიდან წავიდნენ.

იქნება ისევ უკან დაბრუნდნენ ისინი, მაგრამ ესეც რომ არ მოხდეს, მე დავრჩები აქ იმათთან, ვინც ებრძვიან რევოლიუციისა და ხალხის მტრებს. (მხურვალე ტაშის ცემა).

(შემდეგი იქნება.)

---

## მომავალი კატასტროფა და მასთან ბრძოლა.

**ნ. ლ ე ნ ი ნ ი.**

(გაგრძელება იხ. № 25).

ნაციონალიზაცია სინდიკატებისა კაპიტალიზმი მით განსხვავდება წინეთ არსებულ სახალხო მეურნეობისგან, რომ კაპიტალიზმმა, შექმნა მჭიდრო კავშირი და ერთმანეთისგან დამოკიდებულება მეურნეობის სხვადასხვა დარგში. უამისოთა უნდა შევნიშნოთ, რომ ტეხნიკურად შეუძლებელი იქნებოდა სოციალიზმისკენ ნაბიჯის გადადგმა. თანამედროვე კაპიტალიზმმა, რომელშიც ბანკები ბატონობენ წარმოებაზედ, ეს სხვადასხვა დარგების დამოკიდებულება ერთანეთისგან სახალხო მეურნეობაში უმწერვალესობამდის აჳიდა.

ბანკები და მსხვილი მრეწველობის და ვაჭრობის დარგები ისე მჭიდროთ გადაებნენ ერთი ერთმანეთს, რომ მათი განშორება ყოვლად შეუძლებელია. ეს იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია მარტო ბანკების ნაციონალიზაცია; თუ იმავე დროს სახელმწიფომ თავის მონოპოლიათ არ იღიარა სავაჭრო და სამრეწველო სინდიკალისტები (შაქრის ნახშირის, რკინის, ნავთის და სხვადა, სხვა). მეორე მხრივ ეს იმას ნიშნავს, რომ ეკონომიური ცხოვრების დონეზე დაყენება მოითხოვს ერთდროულ ნაციონალიზაციას როგორც ბანკების, ეგრეთვე სინდიკატებისას.

ავიღოთ მაგალითად შაქრის სინდიკატი. ეს ჯერ კიდევ „ცარიზმის“ დროს დაიბადა. იმავე ხანში ის გადიქცა ერთ მსხვილ კაპიტალისტურად გაერთიანებული და მშვენიერად მოწყობილი ფაბ-

რიკები და ქარხნებათ. რა თქმა უნდა ეს გაერთიანება მთლათ გაჟღენთილი იყო ბიუროკრატიულ რეაქციონური სულით: იგი უზრუნველ ჰყოფდა კაპიტალისტების სინიდის-მოკლებულ დიდ მოგებას, სამაგიეროდ უფლება ახდილად სტოვებდა მუშებსა და მოსამსახურეებს, რომელთა მდგომარეობა ცოტად განირჩეოდა მონებისგან. სახემწიფო, ჯერ კიდევ მაშინ კონტროლს უკეთებდა და სასურველ დონეზედ აყენებდა წარმოებას, რომ ესიამოვნებინა მდიდარი მაგნატებისათვის.

ეხლა ის ღა დარჩენილა, რომ რეაქციონულ-ბიუროკრატიული წესით დონეზედ დაყენება შეიცვალოს რევოლიუციონურ დემოკრატიულზედ უბრალო დეკრეტის შემწეობით, რომლის ძალით უნდა მოწვეულ იქნას მოსამსახურეთა, ინჟენერთა და დირექტორთა ყრილობა, უნდა შემოღებულ იქნეს ერთნაირი ანგარიშის წესი მუშათა კავშირების კონტროლი და სხ. ეს სულ უბრალო საქმეა და ამიტომაც ამის სასარგებლოთ არაფერი კეთდება! დემოკრატიული რესპუბლიკა და იმავე დროს რეაქციონურ ბიუროკრატიული წესები შაქრის წარმოების დონეზედ დასაყენებლათ! ეს გაუგებარია! გამოდის. რომ სულ ისევ ძველებურათ რჩება, ძველებური გაფლანგვა-გატაცება ხალხის შრომისა, ძველებური ხავსი, ერთ ადგილის ტკეპნა, და ბობრინსკების და ტერეშჩენკოების გამდიდრება. უნდა მოუწოდოთ საკუთარ ინიციატივისკენ დემოკრატიას და არა ბიუროკრატიას, მუშებს და მოსამსახურეებს და არა „შაქრის მეფეებს". აი რა შეიძლება გაკეთებულიყო ერთის დაკვრით რამდენიმე დღეში, ესერებს და მენშევიკებს რომ არ დაებნელებინათ ხალხის შეგნება „კოალიციის" პლანით, მერე იმისთანა პირებთან როგორნიც არიან „შაქრის მეფეები," რომელთა მეცადინობით გამტკიცდა სრული უმოქმედობა მთავრობისა ეკონომიურ ცხოვრების დონეზედ დაყენების საქმეში *).

ავიღოთ ნავთის საქმე. იგი უკვე „განსაზოგადოებულია" ერთ უდიდეს წარმოებათ წინანდელ კაპიტალიზმის განვითარების წყალობით. თითო-ოროლა „ნავთის მეფეები", რომელნიც ასეულ მილიონებს ატრიალებენ, მარტო იმას სჩადიან, რომ კუპონებს აჭრიან ფასიან ქაღალდებს, ხვეტენ ზღაპრულ მოგებებს „საქმიდან", რომელიც ფაქტიურად უკვე ტეხნიკურად მოწყობილია მთელი სახელმწიფოს სამსახურისათვის, სადაც მუშაობს ასობით და ათასობით მოსამსახურენი, ინჟენერები და სხ.

ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაცია შესაძლებელია სულ ადვილათ, ერთის დაკვრით და ამიტომ სავალდებულოა რევოლიუციონურ დემოკრატიულ სახელმწიფოსათვის, ნამეტნავათ მაშინ, როცა სახელმწიფო განიცდის კრიზისს, როდესაც აუცილებლათ საჭიროა ხალხის შრომის დაზოგვა და სათბობი მასალის გამრავლება. ადვილად გასაგებია, რომ ბიუროკრატიული კანტროლი ვერას შესძლებს, ვერაფერს შესცვლის, ვინაიდგან „ნავთის მეფეები" იმისთანა მინისტრებთან, როგორიც არიან ტერეშჩენკო, კერენსკი, ავქსენტიევი და სკობელევი, მუდამ მოახერხებენ საქმის გაკეთებას სხვა და სხვა მიზეზების გამოგონებით, ხან დაპირებით, ან კიდევ ბურჟუაზიული მწერლობის და ჩინოვნიკების მოსყიდვით.

თუ გვწადია გავაკეთოთ რაიმე სერიოზული, ამისთვის საჭიროა გადავიდეთ ბიუროკრატიიდგან დემოკრატიაზედ რევოლიუციონურის გზით ე. ი. უნდა გამოუცხადოთ ბრძოლა ნავთის მეფეებს და აქციონერებს, დეკრეტით (უბრალო ბრძანებით) მოვახდინოთ კონფისკაცია ქონების და დეკრეტითვე დავაწესოთ სასჯელი თუ გაბედა ვინმემ ნავთის ნაციონალიზაციის გაჭიანურება, ან დამალა შემოსავალი ან ანგარიშის წარმოდგენა; ესევე უნდა მოვიქცეთ, თუ შევამჩნიეთ საბოტაჟი ან ლონისძიების მიულებლობა წარმოებაში. უნდა მივმართოთ მუშათა და მოსამსახურეთა ინიციატივას, რისთვისაც დაუყოვნებლივ საჭიროა მოვიწვიოთ ისინი ყრილობაზედ და თათბირებზედ, და უნდა გადავიდეს მათ ხელში ერთი ნაწილი მოგებისა იმ პირობით რომ დაცული იქნება კონტროლის ყველა მუხლები და თვით წარმოებაც გაიზრდება. ამ გვარი რევოლიუციონურ-დემოკრატიული ნაბიჯი, რომ გადადგმულიყო დაუხანებლივ აპრილში 1917 წელსა, მაშინ, რუსეთი, ეს ერთი მდიდართაგანი ქვეყანა დედამიწის ზურგზე თავის სათბობი სითხელით (ნავთი) ბევრს მოასწრობდა ზაფხულში, რადგან შეეძლო უხვათ ესარგებლნა წყლის ტრანსპორტით, რომ დაეკმაყოფილებინა ხალხი ნავთით.

მაგრამ როგორც ბურჟუაზიულმა, ეგრეთვე კოლიციონურმა მთავრობამ რომელიც შესდგებოდა ესერებისგან მენშევიკებისგან და კადეტებისგან, სრულებით არაფერი გააკეთა ამ მხრივ, მათ მხოლოთ ბიუროკრატიული თამაში გააჩაღეს რეფორმებთან და არც ერთი რევოლიუციონურ დემოკრატიული ნაბიჯი არ გადასდგეს წინ. დარჩენ იგივე ნივთის მეფეები, იგივე ერთ წერტილზედ გაჩერება, იგივე შული მუშებისა და მოსამსახურებისა ექსპლოატატორების მიმართ, იგივე არევ დარევა, იგივე გაფლანგვა გატაცება ხალხის შრომისა, ერთი სიტყვით ყველაფერი ისევე დარჩა, როგორც იყო მეფის დროს, გამოიცვალა მხოლოთ სათაურები შემოსავალ-გასავალ წიგნებისა რესპუბლიკალურ კანცელარიებში.

რაც შეეხება ნახშირის მრეწველობას. რომელიც ნაციონალიზაციისთვის არა ნაკლებად არის მზად კულტურულის და ტეხნიკურის მხრივ, და რომელსაც არა ნაკლებ უსინდისოთ განაგებენ ხალხის მყვლეფლები, ნახშირის მეფეები, აქაც არა ერთი მაგალითი გვაქვს საბოტაჟისა. კაპიტალისტები განგებ აფუჭებდნენ და აჩერებდნენ თვით წარმოებას. ეს ფაქტი სცნო თვით მენშევიკურ მინისტრულმა გაზეთმა „Рабочая газета"-მ. მერე რა? არაფერი, გარდა ძველებურ რეაქციონული—ბიუროკრატიულ „თათბირის", რომელიც ხდებოდა ნახევრად მუშებისგან და ნახევრად ნაშხირის-სანდიკატების ავაზაკებისგან!.

არც ერთი რევოლიუციონური დემოკრატიული ნაბიჯი, არც ერთი ცდა ნამდვილი კონტროლის დაწესებისთვის ძირიდგან—მუშათა საბჭოებისგან, მოსამსახურებისგან, შიშის წყალობით ნაშხირის მრეწველების წინააღმდეგ არ იყო შესრულებული. ან კი როგორ უნდა მომხდარიყო ეს, როცა ყველანი „კოალიციის" მხარეზედ იყვნენ, ხან კადეტებთან და ხან მრეწველებთან. კოალიცია კი ნიშნავს კაპიტალისტებისთვის ძალაუფლების ხელში შენარჩუნებას, რითაც იგინი კარგათ სარგებლობდნენ, რომ თვითონ მშრალები გამოსულიყვნენ და მთელი ბრალი მუშებისთვის მოეხვიათ თავზედ, საქმე აეწეწდაეწეწა და ყოველმხრივ ნიადაგი მიემზადებიათ კორნილოვებისთვის.

(გაგრძელება იქნება.)

---

*) ეს სტრიქონები უკვე დაწერილი იყო, როდესაც მე წავიკითხე გაზეთებში, რომ კერენსკის გადაუწყვეტია შემოიღოს შაქრის მონოპოლია, რომელიც, როგორც მოსალოდნელი იყო, უნდა მოხდეს რეაქციონურ-ბიუროკრატიულ წესით, ყრილობის მოუწვევლათ, როგორც მოსამსახურებისა ისე მუშებისა, ამასთან არც საჯაროთ და არც კაპიტალისტების ალაგმვით.

ტ.

# პეტროგრადის ამბები

(პირადი შთაბეჭდილებანი).

ვიწყებ 22 ოქტომბრიდან. ამ დღეს დანიშნული იყო პეტერბურგის მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს დღე. მთავრობამ მოინდომა პროვოკაცია მოეწყო მუშებისთვის და სწორეთ ამ დღისთვის დანიშნა პროცესია ჯვარებით და ხატებით (КРЕСТНЫЙ ХОДЪ). სწორედ ამ პროცესიას უნდა გამოყოლოდენ კაზაკები. აშკარათ სჩანდა პროვოკაციის გეგმა. მაგრამ 21 ოქტომბერს საღამოს სმოლნი ინსტიტუტში, სადაც საბჭოს კრება იყო, მოვიდენ კაზაკების წარმომადგენლები და განაცხადეს: თუ მუშები წინააღმდეგნი არიან, რომ ხვალ ჩვენ მივიღოთ მონაწილეობა პროცესიაში, ჩვენ აღარ გამოვალთო. მათ ელაპარაკა ტროცკი, რომელმაც განუმარტა, თუ რა ჯოჯოხეთური გეგმა აქვს დასახული მთავრობას. კაზაკებმა გადაწყვიტეს უარი ეთქვათ ხვალინდელ გამოსვლაზე. ამის გამო მთავრობაც იძულებული შეიქნა 22 ოქტომბერს დღის 12 საათზე გამოეცხადებინა, რომ პროცესია (ხატებით და ჯვრებით) აღარ შესდგებაო.

22 ოქტომბერს შედგა მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს დღე, რომელიც შესანიშნავათ ჩატარდა. ბურჟუაზიული პრესა განაგრძობდა ცილის წამებას, რომ ბალშევიკებმა ვერ მოახერხეს გამოსვლა და იგი 25 ოქტომბრისთვის გადადეს, როდესაც მოხდება მათი გამოსვლა პოგრომებით და ხოცვა-ჟლეტითო.

24 ოქტ. იწყეს ჩამოსვლა სიეზდის დელეგატებმა. ამ დღეს მოვიდა ცნობა. კალუგის საბჭოს შესახებ, რომ ის გარეკეს კაზაკებმა და საბჭოს წევრები კიდეც დახვრიტეს. სამხედრო რევოლიუციონურმა კომიტეტმა უტყუარი წყაროებიდან შეიტყო, რომ მთავრობას განზრახვა აქვს კალუგის საბჭოს ისტორია გაიმეოროს 12 სხვა საბჭოებზე, და მათ შორის მოსრისოს მოსკოვის საბჭოც. ამავე დღეს სამხედრო-რევოლიუციონურ კომიტეტს ხელთ ჩაუვარდა მთაერობის გეგმა, რომლიდანაც სჩანდა, თუ როგორ ფიქრობდა მთავრობა მოეწყვიტა ერთმანეთისთვის სხვა და სხვა უბნები და სმოლნი ინსტიტუტი, სადაც საბჭოების სიეზდი ხდებოდა და ბოლოს დაეტუსაღებია მთელი სიეზდი და თვით სამხედრო-რევოლიუციონური კომიტეტიც. ამ გეგმის განხორციელების მთავრობა უკვე შეუდგა 24 ოქტომბერს. მან გაახსნევინა ხიდები და ამით აპირებდა მოეწყვიტა სმოლნი ინსტიტუტი პეტროგრადის, ვასილიევის და ვიბორგის მხარედან. ხიდებთან დაყენებული ყავდა ჯავშნიანი ავტომობილები, რომლებსაც იცავდენ ინვალიდები. ამავე დღეს მთავრობამ დაკეტა „რაბოჩი პუტი", „სალდატი" და დაბეჭდეს ამ გაზეთების სტამბაც. მოინდომეს რედაქციის დანგრევაც, მარა წითელრაზმელებმა დროზე შეიტყეს და დაატყვევეს რედაქციაში შეჭრილი იუნკრები.

ამ დროს მთავრობა საზამთრო სასახლეში იმყოფებოდა. მან დანიშნა პეტერბურგის გენერალ გუბერნატორათ კიშკანი, რომელიც ფართო უფლებებით აღჭურვა.

24 ოქტომბერს გახურებული შავრაზმული აგიტაცია იყო ქუჩებში. აშკარათ ლაპარაკობდენ საბჭოების დატუსაღების შესახებ. იყო შემთხვევები, რომ ქუჩაზე დაიჭირეს სიეზდის დელეგატები, დაატუსაღეს და სცემეს კიდეც.

აშკარათ სჩანდა, რომ კონტრ-რევოლიუცია აღარ ხუმრობდა.

25 ოქტომბერს სამხედრო-რევოლიუციონურმა კომიტეტმა მიიღო ზომები და შეუდგა მოქმედებას. მან გაალო „რაბოჩი პუტის" სტამბა, სადაც 25 ოქტომბრის ნომერი 26-შივე დაიბეჭდა. მან დაიკავა სადგურები, ტელეფონი, ტელეგრაფი, სახემწიფო ბანკი და სხვა დაწესებულებები. საღამოს 6 საათზე შემოარტყეს ალყა საზამთრო სასახლეს, სადაც მთავრობა იმყოფებოდა. იმავე დღეს სასახლეს მოადგა კრეისერი „ავრორა". სასახლეს იცავდენ იუნკრები და ქალთა ბატალიონი; იყვნენ კაზაკებიც, მაგრამ ისინი მალე გაშორდენ.

მთავრობას წინადადება მისცეს სისხლდაუღვრელათ დაგვნებდიო. მან უარით უპასუხა. პეტრეპავლეს ციხიდან და ავრორადან რამდენიმე გაუტენელი ყუმბარა ესროლეს სასახლეს, იქიდან ტყვიებით უპასუხეს, შეიქნა სროლა, რომელიც ცოტა ხანს გაგრძელდა. ქალებმა მალე გამოკიდეს თეთრი ბაირაღი ნიშნათ იმისა, რომ გნებდებითო. მათთან მოსალაპარაკებლათ წავიდა 6 მატროსი, რომლებიც მიახლოვდენ თუ არა, ტყვიებით განგმირული უსულოთ დაეცნენ. ასეთმა ვერაგობამ მებრძოლნი გააბრაზა და შეიქნა სასტიკი ბრძოლა, რომელიც გაგრძელდა ღამის 2 საათამდე, და გათავდა სასახლის აღებით. მინისტრები დაატუსაღეს, ქალებს იარაღი აჰყარეს.

სიეზდი გაიხსნა 25-ს ოქტომბერს 8 ნახ. საათზე. სიეზდი გახსნა ც. აღ. კ. წევრმა დანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ სიეზდი კანონიერია, აირჩიეს პრეზიდიუმი, რომელმაც წამოაყენა დღის წესრიგი, სადაც პირველ ადგილზე დაყენებული იყო საკითხი ძალა-უფლების შესახებ. მარტოვმა შეიტანა რიგს გარეშე განცხადება და მოითხოვა პირველ კითხვათ დაისვას შექმნილი მდგომარეობის მშვიდობიანათ გათავების საკითხი. ამას მხარი დაუჭირეს ბალშევიკებმა და კითხვის გარჩევა ერთხმათ იქნა მიღებული.

მაგრამ ამ კითხვის გარჩევამდე მოითხოვეს უმთავრესათ ფრონტის დელეგატებმა, სიტყვა რიგის—გარეშე განცხადებისათვის. ეს განცხადებები ძალიან ბევრი აღმოჩნდა. ამას ვეღარ მოუცადეს ინტერნაციონალისტებმა და აღელვებულები მარტოვის მეთაურობით სიეზდიდან წავიდნენ. (წავიდნენ 60 კაცამდე). როდესაც ფრონტის დელეგატებმა მოათავეს რიგს გარეშე განცხადებები, სიეზდმა მოინდომა მარტოვის წინადადების განხილვა, მაგრამ რადგან ავტორი იქ არ აღმოჩნდა, სიეზდი გადავიდა სხვა დელეგატების რიგის გარეშე განცხადებებზე. ამ დროს შემოვიდა მარტოვი და მისი მომხრეები და რა ნახა, რომ მისი წინადადება კიდევ გადადებულია, აღელვებული სიტყვა წარმოსთქვა და სიეზდიდან გავიდა. ამ ხანათ მას მხოლოთ 30 კაცამდე-ღა გაყვა.

სიეზდზე დარჩენ ბალშევიკებს გარდა, მენშევიკ-ინტერნაციონალისტები (ნაწილი), მემარცხენე ესერები, პოლიაკები (ორივე პარტია), უკრაინელები, „ნოვაია ჟიზნის" ჯგუფიდა ესერი—მაქსიმალისტები.

იმ დღეს განიხილეს საკითხი ძალაუფლების შესახებ და მიიღეს დადგენილება თითქმის ერთხმათ. კრება დაიხურა.

26 ოქტომბერს სხდომა გაგრძელდა. ამ დღეს მოვიდენ გლეხთა საბჭოების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტე-

ტის წარმომადგენლები და მოითხოვეს ესერ—მინისტრების (მასლოვის და სალაზკინის) განთავისუფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდენ მთელ გლეხთა რუსეთის ფეხზე დაყენებით. ამ დროს სოციალისტ მინისტრების განთავისუფლება უკვე გადაწყვეტილი იყო. მათ უპასუხა ტვერის გლეხების დელეგატმა და მოითხოვა სალაზკინის და მასლოვის განთავისუფლება კი არა, აქსენტიევის და სხვების დაჭერაც, რადგან ცენტრალურმა კომიტეტმა უღალატა გლეხებსო.

ამ დღეს მიიღეს დეკრეტები ზავის და მიწის შესახებ. ძნელია იმ შთაბეჭდილების გადმოცემა, რომელიც მოახდინა ლენინის სიტყვამ; როცა მან გაათავა დეკრეტის კითხვა, მაშინვე დააყენეს საკითხი მისი მიღების შესახებ. დეკრეტი ერთხმათ იქნა მიღებული. ამას მოჰყვა აუწერელი ენტუზიაზმი: მთელი სიეზდი და გარეშე მაყურებელნი 1500 კაცამდე, როგორც ერთი კაცი ფეხზე დადგა და ერთხმათ შეასრულა დიდებული ინტერნაციონალის სიმღერა. გადაჭარბებული გრძნობისაგან ბევრი ცახცახებდა, თვალებზე ცრემლი მოსდიოდა და სხვა.

ასეთივე ენტუზიაზმით იყო მიღებული დეკრეტი მიწის შესახებ.

სიეზდი ორ დღეს გაგრძელდა. არჩეულ იქმნა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ყველა ფრაქციებისაგან.

28 ოქტომბერს გავრცელდა კერენსკის ბრძანება, რომლითაც ის მოითხოვდა დამორჩილებას. ბურჟუაზია ამან დიდით გაამხნევა: ნევის პროსპექტზე წითელ რაზმელებს იარაღის აყრა დაუწყეს, რამაც გამოიწვია შეტაკება და სროლა.

24 ოქტომბერს მოხდა იუნკრების შეთქმულობა, მათ დილის 4-ნახევარ საათიდან დაიკავეს ტელეგრაფი, ტელეფონი, ზოგიერთი სადგურები და მიხაილოვის მანეჟი, საიდანაც გაიტაცეს 4 ჯავშნიანი ავტომობილი. ვინც კი დახვდათ იქ, და წინააღმდეგობა გაუწიათ, უმოწყალოთ მოხოცეს. ერთ საბჭოში, რომელიც ვლადიმერის იუნკრების სკოლის პირდაპირ იყო, იუნკრებმა ყველა მუშები ამოხოცეს. ისინი გამაგრდენ იუნკრების სკოლებში.

სამხედრო რევოლუციონური კომიტეტი დილის 8 საათზე შეუდგა იუნკრების წინააღმდეგ მოქმედებას. პირველათ წინადადება მისცეს ვლადიმერის შკოლაში გამაგრებულ იუნკრებს, მაგრამ მათ ტყვის მტყორცნელებით უპასუხეს. საჭირო შეიქმა ამ სკოლის აღება, აქაც ქონდა ადგილი თეთრი ბაირაღით მოტყუებას იუნკრების მხრიდან. საჭირო შეიქნა ზარბაზნების ხმარება, რის შემდეგ იუნკრები გამოიყვანეს შენობიდან და აყარეს იარაღი. დახოცილ-დაჭრილები ორივე მხრიდან ბევრი იყო. ამის შემდეგ სხვა შკოლები უბრძოლველად დანებდნენ, დაწესებულებებიც შეთქმულთაგან განთავისუფლებულ იქნა.

30 ოქტომბერს კერენსკიმ შემოუტია ჯარით პეტროგრადს, ჩვენმა ჯარმა გატჩინოდან ცარსკოე სელოსკენ დაიხია და იქ გამაგრდა. სწორეთ ამ დროს ფაბრიკა-ზავოდების ცენტრალურმა კომიტეტმა მიმართა მუშებს და გაგზავნა ისინი თოფებით და „ლაპატკებით“ პოზიციის გასამაგრებლად. საუცხოვო სანახავი იყო პეტროგრადი, როდესაც შავბლუზიანი მუშები ათასობით გამოიშალენ და სიმღერით გასწიეს რევოლუციის დასაცავათ.

31 ოქტომბერს რევოლუციონურმა ჯარმა იერიში მიიტანა და დიდი მსხვერპლით უკან დაახევინა კერენსკის ჯარს, რომელიც შესდგებოდა განსაკუთრებით კაზაკებისაგან.

მოლაპარაკება საერთო სოციალისტური ბლოკის შესახებ დაიწყო 29 ოქტომბერს. ეს საქმე ითავა მთელი რუსეთის რკინის გზათა ცენტრალურმა კომიტეტმა. ისინი გამოცხადდენ 29 ოქტომბერს პეტროგრადის საბჭოს სხდომაზე. ულტიმატუმის სახით მათ წამოაყენეს: შედგენილ იქნას სოციალისტური ბლოკი, დაწყებული ბოლშევიკებიდან და გათავებული სახალხო სოციალისტებით. წინააღმდეგ შემთხვევაში 29 ოქტომბერს შუაღამისას (12 საათზე) ისინი გამოაცხადებენ რკინის გზის საერთო გაფიცვას. ჩვენ, განაცხადეს მათ, კერენსკის გაუგზავნეთ მოთხოვნილება, რომ ის დაემორჩილოს ამ ბლოკიდან შემდგარ მთავრობას და მანამდე არ მიიღოს არავითარი სამხედრო ზომები. ბოლშევიკების მხრიდან მათ უპასუხა კამენევმა; მან აღნიშნა: ჩვენ მუდამ მომხრე ვიყავით საბჭოების და არა ბოლშევიკების ძალა-უფლების და თუ დღეს მარტო ბოლშევიკების ხელშია ეს ძალაუფლება, მიზეზი ისინი არიან, ვინც წავიდა საბჭოების ხიეზდიდან და ან არ ისარგებლა სხვადასხვა მოსაზრებით თავის უფლებით, როგორც ეს ქნეს მემარცხენე ესერებმა და სხვა ჯგუფებმა, რომლებმაც თუმცა დარჩენ სიეზდზე, მარა მთავრობის შედგენაში მონაწილეობა არ მიიღესო. ჩვენ ეხლაც მზათ ვარ ასეთი ბლოკის, მაგრამ ვერ დავთმობთ მხოლოდ შემდეგს: მთავრობა უნდა იყოს საბჭოებიდან შემდგარი და მათ წინაშე პასუხის მგებელი; სიეზდის მიღებული გადაწყვეტილებანი უეჭველათ უნდა გატარდეს ცხოვრებაში. ამას იქით ჩვენ შეგვიძლია მეტიც დავთმოთ, ჩვენ შეგვიძლია პიროვნებებზედაც შევთანხმდეთ და ამ საკითხშიაც ბევრი რამ დავსთმოთ, თუ რკინის გზის წარმომადგენლებს იმედი აქვთ ეს საქმე მოაგვარონ.

ასეთ ცნობებს ალბათ არ ელოდენ ბოლშევიკებიდან და ამან გამოიწვია დიდი აღტაცება, როგორც რკინის გზის წარმომადგენლებში, აგრეთვე ინტერნაციონალისტებშიაც.

რკინის გზის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით იმ დღეს დანიშნეს საერთო თათბირი, რომელსაც დაესწრენ ყველა პარტიების წარმომადგენლები, გარდა სახალხო სოციალისტებისა, რომლებმაც განაცხადეს—ბოლშევიკებთან საერთო არაფერი გვაქვსო. ამ თათბირზე ლიბერდანებმა წამოაყენეს თავისი საყვარელი კოალიცია უბოლშევიკებოთ, რამაც დიდი აღშფოთება გამოიწვია. რკინის გზელებმა განაცხადეს, რომ ჩვენ სულ სხვა მხრიდან მოველოდით ჯგუფობას და სულ სხვაგან კი ვნახეთო. თუ თქვენ არ გინდათ ბლოკში შემოსვლა, უთქვენოთაც იოლათ წავალთო. მაშინ ლიბერდანებმა მოითხოვეს კითხვის გადადება, რადგან ფრაქციაში არ მოგვილაპარაკნიაო.

საკითხი გადადვა და თათბირი დაინიშნა 30 ოქტომბრისთვის, ამ დღეს ლიბერდანებმა მოითხოვეს კერენსკი შემოუშვან პეტროგრადში, დაემორჩილონ მას უსიტყვოთ, გადასცენ მას სმოლნის ინსტიტუტი, იარაღი აყარონ წითელ გვარდიას და ისინი თავის მხრით გარანტიას აძლევენ, რომ ბოლშევიკების წინააღმდეგ არ მიიღებენ აგრესიულ ზომებს დამფუძნებელ კრებამდე. ეს ის დღე იყო, როცა კერენსკის ჯარი წინ მიიწევდა და პეტერბურგს აღებას უპირებდა, მის წინააღმდეგ დარაზმული იყო მთელი პეტერბურგის პროლეტარიატი, სალდათები და მატროსები. კამენევმა ბოლშევიკების მხრით განაცხადა: ახლა ხუმრობის დრო არ არისდა თქვენ კი, გეტყობათ, სახუმროთ მოსულხართო. ეს აზრი გაიზიარეს ინტერნაციონალისტებმა და რკინის გზის ცენტრალურმა კომიტეტმა. ამ ნიადაგზე მოხდა რასკოლი ობორონცებსა და ინტერნაციონალისტებს შუა, ლიბერდანები იძულებული გახდენ პრინციპიალურათ დათანხმებულიყვნენ ასეთ ბლოკზე, მაგრამ მოითხოვეს სხდომის კიდევ გადადება ყველა დეტალების გამოსამუშავებლათ.

მე გამოველ პეტროგრადიდან 1 ნოემბერს

ლ. დ.

# № 5 სია № 5

# დამფუძნებელი კრების

**კანდიდატებისა,**

რომელიც წამოყენებულია კავკასიის საოლქო კომიტეტის მიერ (რ. ს.-დ. მ. პ. (ბოლშევიკებისა).

1. შაუმიანი სტეფანე გეორგის ძე, სრულიათ რუსეთის მუშათა და სალდათთა დეპუტატთა საბჭოების ცენტრ. აღმ. კომიტეტის წევრი. ბაქო.

2. ჯუღაშვილი (კობა, სტალინი) იოსებ ბესარიონის ძე, ლიტერატორი. პეტროგრადი.

3. ნარიმანოვი ნარიმანი,-დოქტორი. ბაქო,

4. ფიოლეტოვი ივანე ტიმოთეს ძე, მუშა. ნავთის მრეწველობის მუშათა პროფესიონალური კავშირის თავმჯდომარე და ბაქოს მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს ა. კ. წევრი. ბაქო-ბალახანა.

5. ცხაკაია მიხეილი გრიგოლის ძე, ჟურნალისტი, თფ. საქ. საბჭოს ხმოსანი. თფილისი.

6. მახარაძე ფილიპე იესეს ძე, ლიტერატორი. თფ. საქ, საბჭოს ხმოსანი. თფილისი.

7. ჯაფარიძე (ალიოშა) პროკოპი აფრასიონის ძე, ბაქოს მ. და ს. დ. საბჭოს წევრი. ბაქო.

8. თოდრია სილიბისტრო იესეს ძე, მუშა, თფ. მ. პროფ. კავშ. ც. ბიუროს წევრი. თფილისი.

9. ნაზარეტიანი გმაიაკი მარქარის ძე, თფ. მ. დ. ს. დ. ს. წევრი. თფილისი.

10. ქავთარაძე სერგეი ივანეს ძე, იურისტი, ჟურნალისტი. თფილისი.

11. კუზნეცოვი ნიკოლოზ მიხეილის ძე, სტატისტიკოსი, თფ. მ. და ს. დ. ს. ა. კ. წევრი. თფილისი.

12. ისრაფილბეკოვი მაკუბეი. დოქტორი. ბაქო.

13. დენისოვი ათანასე ექვთიმეს ძე, სალდათი, თფ. მ. და ს. ა. კ. წევრი.

14. ოკუჯავა მიხეილ სტეფანეს ძე, იურისტი, ჟურნალისტი. თფილისი.

15. ხანოიანი სარქის მელიქ., პედაგოგი, ჟურნალისტი. თფილისი.

16. მოშენკო კორნილი ვასილის ძე, სალდათი, თფ. მ. და ს. ს. წევრი. თფილისი.

17. შავეროვი დანიელი ალექსის ძე, ნაფიცი ვექილი, თფ. საქ. საბ. ხმოსანი. თფილისი.

18. ენუქიძე აბელი სოფრომის ძე, სალდათი. სრულიათ რუსეთის მ. დას. დ. საბჭ. აღ. კ. წევრი. პეტროგრადი.

19. ტოროშელიძე მალაქია გიორგის ძე, იურისტი, ჟურნალისტი. თფ. საქ. საბ. ხმოსანი, თფილისი.

20. რამონოვი ევგენი დავითის ძე, სამხედრო ექიმი, თფილისი.

21 ზარგარიანცი ალექსანდრე ოჰანესის ძე, მუშა. ბაქოს მუშათა და სალ. დეპ. საბჭოს ა. კ. წევრი. ბაქო.

22. ერქომაიშვილი ალექსანდრე მიხეილის ძე, კოოპერატორი, თფილისი.

23. იაგუბოვი სეითი დოკაფერი, მუშა. ბაქო-ბალახანა.

24. დუმბაძე ვლადიმერი ელიზბარის ძე, მუშა, თფ. მ. პროფ. კავშ. ც. ბიუროს წევრი. თფილისი.

25. კოლესნიკოვა ნადეჟდა ნიკოლოზის ასული, პედაგოგი. ბაქო.

26. აზიზბეკოვი მაშადბეგ, ინჟინერი. ბაქო.

27. ნანეიშვილი ბიქტორ ივანეს ძე, პედაგოგი ბაქო.

28 ითაბეგოვი არშაკ ნაზარის ძე, ბუნების მეტყ, თფ. საქ. ს. ხმოსანი.

29. არველაძე პეტრე იაკობის ძე, სალდათი. ალექსანდროპოლი.

30. ზევინი იაკობი დავითის ძე (პავლე კუზმის) მუშა. ბაქო-ბალახანა.

31. ლეჟავა სიმონ კონსტანტინეს ძე, დოქტორი. ფოთი.

32. გაბრიელიანცი (კარინი) არტაშ ვასილის ძე, იურისტი, ჟურნალისტი. ბაქო.

33 თერიანი ვაგანი სუკიასეს ძე, პოეტი. ახალქალაქი.

34. მრავიან ასკანეზ არტემის ძე, პედაგოგი, ჟურნალისტი. თფილისი,

35. ბიკოვი მიხეილ ივანეს მუშა ბაქო-ბალახანა.

36. იოანისიანცი ამბაკუმ გაბრიელის ძე პედაგოგი, ეჩმიაძინი.

**კავკასიის საოლქო კომიტეტი რ. ს.-დ. მ. პ. (ბოლშევიკები).**

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „ქართლი“, ლორის-მელიქოვის ქუჩა.